HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

ნინო კალანდარიშვილი

# როგორ ხედავენ იძულებით გადაადგილებული პირები მათი პრობლემების მოგვარების გზებს?

*რეკომენდაციები პოლიტიკური სუბიექტებისათვის*

სექტემბერი, 2012 წელი

**დოკუმენტის მიზნები**

გავრცელებულია მოსაზრება, რომ დევნილთა ჯგუფები მხოლოდ საკუთარი, კერძო საკითხების მოგვარებასა და დახმარების მიღებაზე არიან ორიენტირებული და პრობლემების განზოგადოებისა და საკუთარი ინტერესების სისტემური დაცვის უნარი ნაკლებად შესწევთ. საზოგადოების, და, განსაკუთრებით, მისი პოლიტიკური სპექტრის მხრიდან, ასეთი დამოკიდებულება, სხვა მრავალ მიზეზთან ერთად - უმძიმესი ეკონომიკური, სოციალური პირობები, გადატანილი ტრაგედია, დეზინტეგრაცია და სხვა - აღრმავებს საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესებიდან დევნილთა ჯგუფების გარიყულობას და მათით მანიპულირებისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის. რეალურად კი დევნილებს გააჩნიათ საკუთარი საჭიროებებისა და პრობლემების მოგვარების ხედვები, ინტელექტუალური, პრაქტიკული და სამოქალაქო რესურსი ამისათვის, რომელთა გათვალისწინება პოლიტიკური პარტიების საპროგრამო და სტრატეგიულ მიდგომებში ხელს შეუწყობს როგორც პრობლემების მოგვარებას, ასევე დევნილთა მიერ ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთების პროცესს.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია წინასაარჩევნო პერიოდში დევნილთა თვალით დანახული პრობლემების მოგვარების გზების შესახებ დევნილთა ხედვებისა და საექსპერტო შეფასებების განზოგადება და კონკრეტული რეკომენდაციების პაკეტის შემუშავება. რეკომენდაციების პაკეტის საფუძველზე პოლიტიკურ სუბიექტებთან დევნილი საზოგადოების აქტიური სადისკუსიო პროცესის სტიმულირება ხელს შეუწყობს საარჩევნო პროცესისადმი დევნილთა ინტერესის ამაღლებას და მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მარგინალიზაციის დონის შემცირებას.

**არსებული სიტუაცია და მისი გამომწვევი მიზეზები**

დევნილი საზოგადოება დღეისათვის ყველა იმ გამოწვევის წინაშე დგას, რომლის წინაშეც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა იმყოფება. ამავე დროს, დევნილებს გააჩნიათ სპეციფიური პრობლემები, რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებულ მიდგომებს.

იძულებით გადაადგილები პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია (2007), რომლის შემუშავებაში თავად დევნილებიც მონაწილეობდნენ, შედგებოდა ოთხი ტოლძალოვანი მიმართულებისაგან -განსახლება, სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური - და ორიენტირებული უნდა ყოფილიყო მათ ერთდროულ, კომპლექსურ განვითარებაზე. ასეთი მიდგომის შედეგად უნდა მომხდარიყო დევნილთა ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინტეგრაციული პროცესების სტიმულირება. თუმცა, შემდგომში, სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ამოქმედების პროცესში, მხოლოდ კომპაქტური ჩასახლებების მცხოვრებ დევნილთა განსახლების მიმართულების რეალიზაციამ, რომელიც ხშირად საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით მიმდინარეობდა, დევნილი საზოგადოების დეზინტეგრაციასა და მათი ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებას შეუწყო ხელი.

განსახლების პროცესის გაუმჭვირვალეობამ, კომუნიკაციის ფაქტიურმა არარსებობამ გადაწყვეტილების მიმღებთა და დევნილთა თემებს შორის, განსახლების პროცესში ძალადობრივი მეთოდების გამოყენებამ (საგანგებო ოპერატიული პროცედურები - სოპ, რომლის საფუძველზეც ხდებოდა ზოგიერთი ფაქტის გამართლება) და რეალური არჩევანის შეუთავაზებლობამ, ახალ დასახლებებში ინფრასტრუქტურული და საკომუნიკაციო სივრცის მოუწესრიგებულობამ და რაც მთავარია, სამუშაო ადგილების არარსებობამ, დევნილ საზოგადოებაში გააძლიერა დახმარებასა და ხელისუფლების ნებაზე დამოკიდებულების ფაქტორი, რომ არაფერი ვთქვათ პოლიტიკის ფორმირებაზე ზემოქმედების შესაძლებლობასა და სურვილზე. ამას ემატება უმუშევრობის მაღალი დონე, გაუსაძლისი ეკონომიკური და სოციალური პირობები, ხარისხიანი განათლების მიღებისა და ჯანდაცვის პრობლემები, რაც სერიოზულ ბარიერებს ქმნის დევნილთა პოლიტიკური გააქტიურების გზაზე.

განსახლების პროცესის შედეგად, დევნილები, რომლებიც კოლექტიურ ცენტრებში მრავალი წელია ცხოვრობდნენ და გარკვეულწილად ინტეგრირებულები იყვნენ მძიმე, მაგრამ უკვე შეჩვეულ გარემოსთან, ჰქონდათ კომუნიკაციური და ეკონომიკური კავშირები, ისევ აღმოჩნდნენ არსებული კავშირების დარღვევისა და ახალ ადგილზე ადაპტაციის გამოწვევის წინაშე. ეს ადაპტაცია საკმაოდ მტკივნეული და ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიც კი აღმოჩნდა, განსაკუთრებით უმწეოთათვის.

ახალ ადგილზე ადაპტაციას, და როგორც შედეგი, ინტეგრაციული პროცესების წარმატებას, ხელს უშლის დევნილთათვის გადაცემული ფართების პრივატიზაციის პროცესის გაჭიანურება. ფართების დაკანონება და მესაკუთრის სტატუსი დაეხმარება დევნილებს დაძლიონ ფართების დაკარგვის შიში და თავი დააღწიონ ამ მომენტით მანიპულირების შესაძლებლობას. საკუთრების ოფიციალურად გადაცემის აქტი დევნილებში საკუთარი თავის სრულფასოვან მოქალაქედ აღქმასთან ასოცირდება და არჩევნებში აქტიური მონაწილეობის, ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის მოტივაციას გაზრდის.

ასეთი მძიმე სიტუაციის მიუხედავად, დევნილ საზოგადოებას აქვს საკუთარი სოციალური-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების ხედვები და მოგვარების პროცესში ჩართვის რესურსი. მათთვის მნიშვნელოვანია კონფლიქტის მოგვარებისა და დაბრუნების საკითხების განხილვა და განხილვისა თუ დიალოგის პროცესში აქტიური მონაწილეობა. დევნილი საზოგადოების ინტელექტუალური, ტექნიკური, საზოგადოებრივი რესურსის გამოუყენებლობა მათ მარგინალიზაციას უფრო უწყობს ხელს და საზოგადოებრივი პროცესებიდან გამორეცხილობის განცდას აძლიერებს.
გარკვეულწილად, ასეთი მდგომარეობა დევნილთა ჯგუფებს ერთ დიდ საარჩევნო ყუთთან „აიგივებს" და პოლიტიკური მანიპულაციების ობიექტად აქცევს.

არასახელისუფლებო პოლიტიკური სუბიექტები დევნილთა პრობლემების აქცენტირებაზე ნაკლებად არიან ორიენტირებულნი, ასეთ რთულ და კომპლექსურ პრობლემებთან შეჭიდების სურვილი მათ ნაკლებად აქვთ, რადგან დევნილთა პოლიტიკური აქტივობისა და არჩევანის გააზრებულად და თავისუფლად გაკეთების ნაკლები მოლოდინები აქვთ. ასეთი დამოკიდებულება, რომელიც ობიექტური ფაქტორებითაც არის განპირობებული, ფაქტიურად დევნილ საზოგადოებას სახელისუფლებო მანიპულაციების პირისპირ ტოვებს. 2008 წ. საპარლამენტო არჩევნების გამოცდილება აჩვენებს, რომ დევნილთა ნაწილმა საკუთარი დამოკიდებულებები და სიტუაციიდან გამოსავალი არჩევნებზე არმისვლით გამოხატა.

წინასაარჩევნო პერიოდი საუკეთესოა პოლიტიკიდან „გარიყული“ ჯგუფების, მათ შორის დევნილთა ჯგუფების გასააქტიურებლად. მით უმეტეს, რომ მათ ამისი რესურსი გააჩნიათ. მათი თვალით დანახული, დასაბუთებული და პოლიტიკოსებისათვის დავალების სახით გადაცემული მოთხოვნები არგუმენტირებული დიალოგის დაწყების საფუძველი უნდა გახდეს მათსა და პოლიტიკის სუბიექტებს შორის. დიალოგის შედეგად გაცემული წინასაარჩევნო დაპირებები კი რეალურ საფუძველს უნდა ქმნიდეს არჩევნების შემდგომი პერიოდის თანამშრომლობისათვის.

**ზემოქმედების სტრატეგიები**

გამოწვევები, რომლის წინაშე დგას დღეს დევნილი საზოგადოება, სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს მიზანმიმართულ და ზუსტ სტრატეგიებს, რომლებიც დაფუძნებული უნდა იყოს როგორც დევნილი საზოგადოების საჭიროებების, პრობლემების და ამ პრობლემების გამომწვევი რეალური მიზეზების ზუსტ შეფასებებზე, ასევე თავად საზოგადოების შესაძლებლობებისა და თვითგანვითარების პოტენციალის გამოყენებაზე პრობლემების მოგვარების გრძელვადიან პერსპექტივაში.

მოკლევადიანი სტრატეგიები ორიენტირებული უნდა იყოს იძულებით გადაადგილებული პირების (იგპ) სახელმწიფო სტრატეგიის განსახლების კომპონენტის იმპლემენტაციის პროცესში წარმოქმნილი სერიოზული პრობლემების მიზეზების დროულ გამოვლენასა და მათ მინიმიზაციაზე. პროცესის ეფექტიანობისათვის აუცილებელია დევნილთა ხედვების გათვალისწინების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი აქტიური მონაწილეობა.

გრძელვადიანი სტრატეგიები ყველა მიმართულების ერთდროულ კომპლექსურ განვითარებასთან (განსახლება, სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური) ერთად, უნდა ითვალისწინებდეს დევნილი საზოგადოების განვითარებასა და ინტეგრაციაზე ფოკუსს და მიმართული უნდა იყოს მათ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გააქტიურებაზე. ასევე ხელს უნდა უწყობდეს პოლიტიკის ობიექტიდან პოლიტიკის სუბიექტად მათ ტრანსფორმაციას

**რეკომენდაციები**

წინამდებარე რეკომენდაციებში ასახულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის პროექტის „დევნილების ჩართულობის გაძლიერება საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში“ ფარგლებში ორგანიზებული მრგვალი მაგიდების შეხვედრების შედეგად თავად დევნილთა მიერ გამოკვეთილი პრობლემები და მოგვარების ხედვები.

მრგვალი მაგიდის შეხვედრები გაიმართა წყალტუბოსა და ფოთში 2012 წ. 27 და 28 ივნისს, და 2012 წ. 07 და 08 ივლისს. შეხვედრებს ესწრებოდნენ დევნილი მოქალაქეები, დევნილი აქტივისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, ექსპერტები (იხ. თანდართული ტრანსკრიპტები).

მრგვალი მაგიდის ფორმატიდან გამომდინარე, ექსპერების მოხსენებებისა და შეფასებების შემდეგ გამართული დისკუსიები ეძღვნებოდა თავად დევნილთა შეფასებების გამოვლენას და როგორც ერთ-ერთი შედეგი, მათ გააქტიურებას წინასაარჩევნო პროცესებში.

მრგვალი მაგიდების მონაწილეები ძირითადად იყვნენ წყალტუბოს კოლექტიურ ცენტრებსა და ფოთის ახალ დასახლებაში მცხოვრები დევნილები, აქედან გამომდინარე, დოკუმენტში ნაკლებად აისახა კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილთა, ისევე როგორც დევნილთა სხვა კატეგორიების, მაგ. ექს-კომბატანტთა, პრობლემები.

რეკომენდაციების ადრესატებია 2012 წ. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტები, განსაკუთრებით კი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები.

ვინაიდან რეკომენდაციებში ასახულია თავად დევნილთა ხედვები, მათზე დეპუტატობის კანდიდატების შეფასებები, მიდგომები და მოგვარების პერსპექტივები, რომელთა განხილვაც დევნილებთან შეხვედრების დროს დისკუსიის რეჟიმში უნდა მოხდეს, ხელს შეუწყობს დევნილთა მიერ გააზრებული არჩევანის გაკეთებისათვის წინაპირობების შექმნას, მათ პოლიტიკურ გააქტიურებას და პასიური მდგომარეობიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზემოქმედების მომხდენ სუბიექტად ჩამოყალიბებას.

**ზოგადი მიდგომები**

- დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია, და, განსაკუთრებით, სამოქმედო გეგმა, მოითხოვს დახვეწას და რეალური სიტუაციის გათვალისწინებას. ეს განსაკუთრებით ეხება განსახლების პროცესის ნებაყოფილობითობას, რეალური არჩევანის არსებობის უფლებას, პროცესის გამჭვირვალეობასა და და ამ პროცესში საზოგადოების თანამონაწილეობას.

- აუცილებელია სახელმწიფო სტრუქტურების დევნილ საზოგადობასთან დიალოგის რეჟიმში ყოფნა, განსაკუთრებით მწვავე საკითხებთან დაკავშირებით. საჭიროა აღმოიფხვრას მანკიერი პრაქტიკა, როცა საზოგადოების, ან საერთაშორისო ორგანიზაციების, მიერ ინიცირებულ შეხვედრებს პასუხისმგებელი პირები თავს არიდებენ.

- აუცილებელია კომუნიკაციის გაუმჯობესება სახელმწიფო სტრუქტურებს, განსაკუთრებით დევნილთა და განსახლების სამინისტროს, და დევნილ საზოგადოებას შორის.

- აუცილებელია პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის და დევნილი საზოგადოების აქტიური კომუნიკაცია და ურთიერთმიმართების მექანიზმების ამოქმედება, რათა უზრუნველყოფილი იქნას რეალური პრობლემებისა და საჭიროებების მოგვარებაზე ორიენტირებული მაჟორიტარი დეპუტატის ინსტიტუტის ეფექტიანი ფუნქციონირება.

- აუცილებელია სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის თანმდევი შიშის ფაქტორის - რეალურისა და აპროქსიმირებულის, გამომწვევი მიზეზების გამოკვეთა და მათი მინიმიზაცია;

- აუციელელია დევნილთა საკითხების მოგვარებაზე პასუხისმგებელი სხვა სტრუქტურების, მაგ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, რეალური უფლებამოსილებებითა და პასუხისმგებლობებით დატვირთვა.

- საჭიროა ძლიერი, რეალური, ფუნქციური ბიუჯეტით უზრუნველყოფილი თვითმმართველობები, რომელთა მუშაობაში დევნილები, ისევე როგორც სხვა მოქალაქეები, აქტიურად იქნებიან ჩართული;

- აუცილებელია დევნილი საზოგადოების პოტენციალის - ინტელექტუალური, პროფესიული, სახელობო და ა.შ. გამოვლენა და მათ რესურსებზე დაყრდნობით რეალური ინტეგრაციული მიდგომების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს დევნილთა პოლიტიკურ ჩართულობასა და გარკვეული ხასიათის გარიყულობის აღმოფხვრას.

**განსახლება**

- განსახლების პროცესი მიმართული უნდა იყოს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე, რაც მოიცავს როგორც ოჯახების გაყოფის ან გაერთიანების რეალურ საფუძვლებს, ასევე სულადობის მიხედვით ფართების გამოყოფის გონივრულ ნორმებს, რომლებშიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული გენდერული ასპექტი. არსებული ნორმები და მიდგომები მოითხოვს გადახედვას და ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის პრინციპთან შესაბამისობაში მოყვანას.

- განსახლების პროცესში აუცილებელია ავარიული შენობების უპირატესი გამოთავისუფლება, სადაც ცხოვრებისათვის გაუსაძლისი პირობებია შექმნილი. ხშირ შემთხვევაში განსახლებას ექვემდებარება ის ობიექტები,

რომლების უკეთეს მდგომარეობაშია და რომელთა შემდგომი ფუნქციური გამოყენებაა შესაძლებელი.

- განსახლების პროცესი არ არის ბოლომდე გამჭვირვალე. დევნილთა უმრავლესობისათვის დღემდე არ არის ცნობილი თუ რას და სად შესთავაზებენ მათ საცხოვრისად. აუცილებელია, რომ საპრივატიზაციოდ განსაზღვრული ობიექტების სია საჯაროდ ხელმისაწდომი გახდეს.

- განსახლების პროცესში აუცილებელია განსასახლებელი ობიექტების დაცლისათვის გონივრული, და არა ექსტრემალური ვადების, მაგ. ოცდაოთხსაათიანის, შეთავაზება. ასეთი ვადები შიშისა და დამოკიდებულების სინდრომის გაძლიერებას იწვევს, რაც განსახლების სტრატეგიის სულისკვეთებას უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

- საჭიროა სახელმწიფო კონტროლის გამკაცრება საცხოვრებელი სახლების მშენებლობის და რეაბილიტაციის ხარისხზე. გონივრულ ვადებში უნდა აღმოიფხვრას ყველა ის სამშენებლო წუნი, რომელიც ვერ უქმნის ადამიანებს ნორმალური ცხოვრების პირობებს. აუცილებელია მშენებლობის ხარისხზე მონიტორინგის დაწესება დევნილთა მონაწილეობით.

- აუცილებელია დევნილთათვის გადაცემული რეაბილიტირებული თუ ახალი საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესის კანონით გათვალისწინებულ, გონივრულ ვადებში მოქცევა, რათა დაუკანონებელი ფართების დაკარგვის შიში არ გახდეს მანიპულირების საფუძველი.

- აუცილებელია დევნილებისათვის შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების დროული გადაცემა, რომ მათ თავიანთი საჭიროებების მიხედვით განკარგონ თავისი ქონება. ამასთან, საკუთრების ოფიციალურად გადაცემის აქტი დევნილებში სრულფასოვანი მოქალაქეობის აღქმასთან ასოცირდება და არჩევნებში აქტიური მონაწილეობის, ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის მოტივაციას ზრდის.

- პრივატიზაციის პროცესის მშვიდ, გონივრულ ვითარებაში წარმართვისათვის აუცილებელია სამოქალაქო რეესტრის, საჯარო რეესტრის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემთა ბაზების სინქრონიზაცია მუდმივი განახლებისა და დაზუსტების პროცესთან ერთად.

- აუცილებელია როგორც არსებული, ასევე ახალი დასახლებების ინფრასტრუქტურის - გზები, საკომუნიკაციო საშუალებები, ელექტრო და

გაზმომარაგება, სკოლები, საბავშვო ბაღები, სამედიცინო პუნქტები - მოწესრიგება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

**განსახლების შემდეგ**

- ახალი დასახლებები, მაგ. ფოთის ახალი დასახლება, ფაქტიურად, გამოცალკევებულია დანარჩენი დასახლებული პუნქტებისაგან. აქვე იქნება სკოლა, საბავშვო ბაღი, სამედიცინო პუნქტები და ა.შ. რაც თავისთავად მათ ხელმისაწვდომობას აადვილებს, მაგრამ იზოლირებულობის განცდას უწყობს ხელს. საჭიროა ინტეგრაციული მიდგომების აქცენტირება და ახალი დასახლებების რეგიონის საერთო სხეულში ფუნქციური ჩართვის უზრუნველსაყოფი პროგრამების განხორციელება.

- მნიშვნელოვანია მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრა, როცა ახალ დასახლებებში ხდება დევნილების გაკონტროლება ახალ ბინებში ცხოვრების ფაქტთან დაკავშირებით. ასეთი წნეხი ხელს არ უწყობს ადაპტაციას და ხშირ შემთხვევაში დაშინებად აღიქმება.

**დასაქმება**

- სამუშაო ადგილების ფაქტიური არარსებობა ახალი დასახლებების დამახასიათებელი ნიშანია. აუცილებელია დასაქმების ისეთი პროგრამების ამოქმედება, რომელიც მიმართულია ახალი დასახლებების სპეციფიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მისი შიდა და რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებაზე.

- დევნილთა დასახლებებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის და მასში დევნილთა აქტიური ჩართვისათვის მნიშვნელოვანია შეღავათიანი ბიზნეს - გარემოს შექმნა და სპეციალური პროგრამების დანერგვა.

- დასაქმების პროცესში დევნილი საზოგადოების კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით აუცილებელია შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი და/ან გადასამზადებელი კურსების ამოქმედება რეგიონის და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინებით.

**სოციალური დაცვა**

- აუცილებელია გადაიხედოს უმწეოთა მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, მათ შორის დევნილების სოციალური დახმარების სახელმწიფო შემწეობის პაკეტი, რომელიც არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები.

- ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, როგორც დანარჩენი საზოგადობისათვის, დევნილებისთვისაც მნიშვნელოვანი პრობლემაა. განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს პრობლემა უინფრასტრუქტურო რეგიონებში ჩასახლებული დევნილებისათვის. სადაზღვევო პოლისი ვერ უზრუნველყოფს აუცილებელ სამედიცინო მომსახურებას. აუცილებელია ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველასყოფად სპეციალური, რეალურ საჭიროებებზე მიმართული, სახელმწიფო პროგრამების ამოქმედება.

- სახელმწიფოსათვის პრიორეტეტული უნდა გახდეს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, მათ შორის -დევნილებისთვის, უფასო უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნვეყოფა, და სხვადასხვა საგანმანათლებლო, მათ შორის საზღვარგარეთის სასწავლო პროგრამებში დევნილი ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობის კრიტერიუმების გამოკვეთა.

**გადასახადები**

- ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი დონის გათვალისწინებით, გადასავადებელია განსახლებული დევნილებისათვის კომუნალური მომსახურების ხარჯებზე შეღავათების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება, თუნდაც იმ ეტაპამდე, ვიდრე ეს ადამიანები მესაკუთრეები გახდებოდნენ. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს იმას, რომ სტრატეგიის განხორციელების პროცესში კომუნალური მომსახურების სფეროში ახალი ხარვეზების წარმოქმნა თვიდან ავიცილოთ.

- გაძვირებული კომუნალური გადასახადები დღეს როგორც დევნილებისათვის, ასევე საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისათვისაც გადაუჭრელი პრობლემაა. კრიტიკულ ზღვარზე მყოფი დევნილი ოჯახებისათვის ახალ დასახლებებში, ასევე საკუთრებაში გადაცემულ რეაბილიტირებულ საცხოვრებელებში, რომელნიც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შეპირებული სამუშაო ადგილებით, აუცილებელია დაწესდეს შეღავათები: ზამთარში მოხმარებული ელექტროენერგიისა და გაზის გადასახადი გადავადდეს და გადანაწილდეს ზაფხულის თვეებზე.

- მიუღებელია ელქტროენერგიის ლიმიტის გადახარჯვის გამო ჯერ კიდევ არსებულ დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები დევნილებისათვის ელექტროენერგიის თვეობით გამორთვა, რასაც თან სდევს წყლის მიწოდების შეწყვეტა და შესატყვისი ანტისანიტარიისა და დაავადებების გავრცელება. მნიშვნელოვანია, რომ ამ კატეგორიის დევნილთა დასახლებებს ზამთარსა და ზაფხულში დაეწესოთ ელექტროენერგიის განსხვავებული ლიმიტები, ან

ლიმიტს ზემოთ მოხმარებული ელექტროენერგია ზაფხულის თვეებზე გადაუნაწილდეთ.

**კონფლიქტის დარეგულირება**

- დევნილი საზოგადოება ქართველთა და აფხაზთა როგორც კეთილი თანაცხოვრების, ასევე მათ შორის მომხდარი კონფლიქტის ცოცხალი მეხსიერების მატარებელია. ამიტომ, პოლიტიკურმა სუბიექტებმა მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაუთმონ დევნილთა საზოგადოებაში არსებულ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ალტერნატიული ხედვების განხილვას.

- დევნილები მშვიდობის დამყარების პოტენციურ რესურსს წარმოადგენენ და საჭიროა ამ რესურსის უფრო შედეგიანი გამოყენება, ამიტომ აუცილებელია დევნილი საზოგადოების სამშვიდობო პროცესებში აქტიური ჩართულობის მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება;

- მნიშვნელოვანია, დევნილთა აქტიური მონაწილეობით ხელი შეეწყოს დაბრუნების მექანიზმებისა და სამართლიანობის შესახებ ფართო საზოგადოებრივ დისკუსიას, რომელიც ინფორმაციის სანდო წყაროებზე იქნება დაყრდნობილი.

**პოლიტიკის საკითხები**

- მნიშვნელოვანია ქალთა, მათ შორის დევნილ ქალთა პოტენციალისა და რესურსის გამოყენება კონფლიქტის დარეგულირებისა და მოლაპარაკებების პროცესში. აუცილებელია გაეროს რეზოლუცია 1325-ის მოთხოვნებისა და რეკომენდაციების რეალური გათვალისწინება მდგრადი სამშვიდობო პროცესის უზრუნველსაყოფად.

- მნიშვნელოვანია გენდერული სტერეოტიპების დასაძლევად საგანმანათლებლო, საინფორმაციო პროგრამების ამოქმედება. გენდერული თანასწორობის დასამყარებელი რეალური მექანიზმების ხელშეწყობა, მათ შორის ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გააქტიურება, სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს

- მნიშვნელოვანია დევნილ საზოგადოებაში ნატოს შესახებ ფართო და დასაბუთებული დისკუსიის ხელშეწყობა, რომლის საფუძველზე მოსახლეობას ინფორმირებული მიდგომების გამომუშავების შესაძლებლობა მიეცემა. ნატოს

ღირებულებები და მასში ინტეგრაციის რეალური პერსპექტივების შექმნისკენ სწრაფვა ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი ასპექტია.

**რამდენიმე მნიშვნელოვანი ციტატა დოკუმენტისათვის**

*„საქართველოს დევნილები მარტო არჩევნების წინ ახსენდება, მთელი წელი გაჩუმებულია. წელიწადში ერთხელ ამოღებული ხმა არაფერი არ არის. აღარც ტელევიზორშია ეს თემა. დევნილების საკითხი მიჩქმალულია“ - დევნილი, დისკუსია წყალტუბოში 27.08.12.*

*„დევნილი საზოგადოება არ ვართ სხვებისგან განსხვავებული და ყველაფერი, რაც ადამიანებისთვის დამახასიათებელია, ჩვენც გვახასიათებს“ - დევნილი, დისკუსია წყალტუბოში 27.06.12.*

*„პირველ რიგში ...ავარიული შენობები უნდა დაცლილიყო. დღეს თითქმის ყველა ავარიულ შენობაში კვლავ იმყოფებიან დევნილები. მხოლოდ ის სანატორიუმი გამოათავისუფლეს, რომელიც მთავრობას დასჭირდა“ - დევნილი, დისკუსია წყალტუბოში 27.06.12.*

*„ჩვენ მაშინ საერთოდ არ გვქონია ინფორმაცია (სხვა შესაძლებლობებზე), როგორც ფოცხო-ეწერში გაყარეს დევნილები, პანღურისცემით გააგდებენ აქედან. ამის შემდეგ რა ნება-სურვილზეა ლაპარაკი“ - დევნილი, დისკუსია წყალტუბოში 27.06.12.*

*„მაჟორიტარ დეპუტატს დევნილები საერთოდ არ იცნობენ. აქამდე მყოფ დეპუტატებს ვგულისხმობ. მაჟორიტარი დეპუტატი დევნილებთან არ მიდის. პირველი კითხვა მათთან ის მექნება, საერთოდ შეხვდებიან თუ არა დევნილებს, არის თუ არა ეს მათ გეგმაში“ - დევნილი, დისკუსია წყალტუბოში 27.06.12.*

*„არსებობს შიში, რომ თუ ხმას ამოვიღებ, ვერაფერს მივიღებ“ - დევნილი, დისკუსია წყალტუბოში 27.06.12.*

*„არის სოლიდარობის ფაქტები, არის იმის ვირუსები, რომ ნამდვილი საზოგადოება გავხდეთ, მაგრამ კარგი სადეზინფექციო საშუალება გააჩნია ამ მთავრობას. ასეთი კარგი სიტყვით რომ გეთქვათ, ასე არ მოვიქცეოდითო, თითქოს მათზე იყო დამოკიდებული ჩვენთვის შუქის გამორთვა. ვინც სამხედროშია, მათი მშობლები, ტაქსისტები, ვინც მუშაობს, ყველა გააფრთხილეს, ასეთი დაშინების პირობებში ძალიან ძნელია“ - დევნილი, დისკუსია წყალტუბოში 27.06.12.*

.

*„ეს ყველაფერი ხომ შეიძლება არჩევნებზე გამოვხატოთ. იქ, სადაც არავინ დაგვაშინებს და თავზე არ დაგვადგება, იქ გამოვხატოთ. ... დავაფიქსირებ ჩემს არჩევანს. ყველას მოვუწოდებ საკუთარი პოზიციის არჩევნებზე გამოხატვას. უნდა*

*დაამტკიცო, რომ გაქვს სიტყვის და არჩევანის თავისუფლება“- დევნილი, დისკუსია წყალტუბოში 27.06.12.*

.

*„რატომ არის გასაკვირი, რომ ადამიანს უნდა რაღაც ჰქონდეს საკუთრებაში? ძალიან მინდა ჩემი საკუთრება მქონდეს, იმიტომ რომ უფრო ადამიანურად ვიგრძნობ თავს. დამცირებულად ვგრძნობ თავს, რადგან დღეს არაფერი მაქვს“ - დევნილი, დისკუსია წყალტუბოში 27.06.12.*

*„ეს პროცესი იმითაც მნიშვნელოვანია, რომ როდესაც მოგვარდება ეს საკითხი, უფრო მეტად დაცულად იგრძნობ თავს. ვიდრე აფხაზეთში დაბრუნება გახდებოდეს შესაძლებელი, მეცოდინება, რომ აქედან კიდევ სხვაგან არ გადამასახლებენ. მთელი ეს წლები დევნილები სულ მოლოდინის რეჟიმში ვცხოვრობდით“ - დევნილი, დისკუსია წყალტუბოში 27.06.12.*

*„ ეს ბინები უარესზე უკეთესია. თავიდან ითქვა, ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, მათ ერთი წლის განმავლობაში გამოასწორებდნენ. ვიდრე არჩევნები არ მოგვიახლოვდა, საერთოდ არავინ მოსულა. ამის შემდეგაც, ასეთი სიტუაციაა, რომ ... ხელოსანი გეუბნება ერთ-ერთი აირჩიო, მიზეზს არ გიხსნის“ - დევნილი, დისკუსია ფოთში 28.06.12.*

.

*„მომდევნო საკითხია დასაქმების პრობლემა. მათ, ვინც მანამდეც ფოთში ვცხოვრობდით, მეტნაკლებად უკვე მოვახერხეთ აქაურობასთან ინტეგრაცია. ნაწილი დასაქმებულიც არის, მაგრამ სხვა რეგიონებიდან ჩამოსულებს, რომლებსაც ფოთში საარსებო წყარო არ გააჩნიათ, უთხრეს, რომ ოჯახის ერთი წევრი აუცილებლად დასაქმდებოდა. ჯერჯერობით ეს პირობა არ შესრულებულა“ - დევნილი, დისკუსია ფოთში 28.06.12.*

*„გვამოწმებენ, ბინა თუ ერთი თვით დაკეტე, ამაზე იმუქრებიან, და კითხულობენ, რატომ დაკეტე. იმიტომ კეტავენ, რომ გადასახადებს ვერ იხდიან. ერთმა კაცმა გაზის გადასახადი სამი ლარი ვერ გადაიხადა, მოვიდნენ, გადაუკეტეს და მერე ჩართვაზე ხუთი ლარი მოსთხოვეს. სამის გადახდა გაუჭირდა, ხუთს როგორ გადაიხდიდა?“ - დევნილი, დისკუსია ფოთში 28.06.12.*

*„არჩევანი სამწუხაროდ არც ისე დიდია. ჩვენს ქვეყანაში წინასაარჩევნოდ უკვე ტრადიციად იქცა ორი მხარე: ნათელი და ბნელი. მაგრამ ჩემთვის ნაკლებად გასაგებია, რომელია ნათელი და რომელი ბნელი.*
*ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შეხვედრაზე პრობლემების შესახებ სიტყვით გამოვსულვარ, მაგრამ წინასწარ გაუგია ამ შეხვედრის შესახებ მმართველი პარტიის წარმომადგენელს და ისეთი მომზადებული მოსულა, რაიმეს თქმაც კი ვერ მოგვისწრია“ - დევნილი, დისკუსია ფოთში 28.06.12.*

*„ჩვენი დადანაშაულება იმაში, რომ ინერტულები ვართ, ალბათ სწორი არ იქნება. ის, რომ დღეს აქ ვიმყოფებით და არაერთ მსგავს შეხვედრაში მიგვიღია მონაწილეობა, მეტყველებს იმაზე, რომ პასიურები არ ვართ. თუმცა ყველაფერი შედარებითია, რამდენად აქტიურები ვართ, რამდენად კონსტრუქციულად ვმოქმედებთ, შეიძლება უკეთესადაც გამოგვსვლოდა. მაგრამ მეორეა როგორია ამაზე რეაგირება. .... მოვედით იმიტომ, რომ ცვლილებების მოლოდინში ვართ. მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები ხიდია ჩვენსა და ადგილობრივ თვითმმართველობას თუ ცენტრალურ ხელისუფლებას შორის“ - დევნილი, დისკუსია ფოთში 28.06.12. .*

*„იმ ფონზე, რაც უმუშევრობასთან დაკავშირებით არის ჩვენს ქვეყანაში, არ მიმაჩნია მიზანშეწონილად ხელისუფლების გადაწყვეტილება ამ ადამიანებისათვის კომუნალური მომსახურების ხარჯებზე შეღავათების შეწყვეტის შესახებ, თუნდაც იმ ეტაპამდე, ვიდრე ეს ადამიანები მესაკუთრეები გახდებოდნენ - დისკუსია ფოთში 28.06.12.*

*”ვეთანხმები იმას, რომ დასაქმებას შეუძლია ამ პრობლემების გადაჭრა, მაგრამ თვითონ დასაქმებაა პრობლემა. ძირითადად რეგიონიდან ჩამოსულ დევნილებზე მაქვს საუბარი, უკვე მეორედ დევნილები რომ ხდებიან ფოთში. დასაქმების პრობლემაც რომ მოგვარდეს, თუმცა ვფიქრობ რესურსიც არ არსებობს ფოთში ამის მოსაგვარებლად, რადგან დასაქმების ხელშეწყობა კი არა, პირიქით, შემცირებებია“ - დევნილი, დისკუსია ფოთში 28.06.12. .*

*„რაც შეეხება დასაქმებას, პრიორიტეტი უნდა იყოს დევნილი დასაქმების მხრივ, მაგრამ, რა თქმა უნდა ვაღიარებ, რომ დევნილობა კვალიფიკაცია არ არის. ეს მაშტაბური პრობლემაა საქართველოში“ - დევნილი, დისკუსია ფოთში 28.06.12. .*

*.„დევნილი ქალები არიან ყველაზე უსამართლოდ დაჩაგრული ქალები. ერთი მხრივ ომის დროს იჩაგრებიან ისეთი რამის გამო, რაც მათ არ წამოუწყიათ, მაგრამ ამას ემატება მათი მსხვერპლობა ომის შემდეგ, როდესაც უნდა მოუარონ დასახიჩრებულ მეუღლეს, და ვერასოდეს ვერ იფიქროს იმ ტრავმაზე, რაც მან მიიღო ომის დროს. თუმცა საქართველოში არავინ ლაპარაკობს ამაზე’ - დისკუსია ფოთში 08.07.12*

*„კონფლიქტის მოგვარების პროცესში მნიშვნელოვანია ქალის როლი, როგორც რესურსი უნდა გამოვიყეთ ქალის ბუნება, იმიტომ რომ ქალი უფრო ლმობიერია, უფრო ლოიალური და ანგარიშგასაწევი ჩემი აზრით. ისევე როგორც ზოგადად, ქალი ჩართული უნდა იყოს პოლიტიკაში. კვოტების სისტემის შემოღებასაც ვეთანხმები. თუმცა კვოტებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, ისე უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენი საზოგადოება, რომ ხელოვნური ჩართულობა არ იყოს საჭირო იმისათვის, რომ ქალები იყვნენ პარლამენტში“ - დევნილი მამაკაცი, დისკუსია ფოთში 08.07.12*

*„სწორად არ მიმაჩნია, ისევ თავიდან დავიწყოთ გამოკვლევა, ვინ არის მართალი და ვინ დამნაშავე (კონფლიქტში). ორივე მხარე ერთნაირი დამნაშავეა, ორივემ ერთნაირად უნდა ვაღიაროთ დაშვებული შეცდომები. ჩვენ თუ ამაზე ვილაპარაკეთ, არასოდეს არ იქნება შერიგებაზე საუბარი“ - დევნილი , დისკუსია წყალტუბოში 07.07.12*
*„უნდა ისაუბრო, რომ პრობლემა აღმოფხვრა. დამალვით პრობლემა არ გვარდება“ - დევნილი , დისკუსია წყალტუბოში 07.07.12*

*„ყველა დევნილი, ვინც აქ ვართ, თავს დაზარალებულად ვგრძნობთ. საუბარი მიდის იმაზე, რომ არც სახლი მაქვს, არც საფლავები და კიდევ ბოდიში უნდა მოვიხადო. გასაგებია, რომ კონკრეტულად ჩვენი მოსახდელი კი არ არის ბოდიში, არამედ ჩვენი მთავრობის. გამოდის, რომ მან ჩემს წინაშეც დააშავა და მათ წინაშეც. ჩვენც უნდა მოგვიხადოს ბოდიში“ - დევნილი , დისკუსია წყალტუბოში 07.07.12*

*„ჩემი აზრით ნატოსთან დაკავშირებით დღეს საქართველოში აზრი ორად იყოფა. ნაწილი მიიჩნევს, რომ ნატო მომხიბვლელია და გულისხმობს ჩვენს უსაფრთხოებას, მაგრამ რა იქნება სამომავლოდ აფხაზეთთან დაკავშირებით?. ხალხში არსებობს ეჭვი, რომ ეს თემა გაურკვეველია. არის მეორე ნაწილი, რომელსაც ნატოში გაწევრიანება ნაკლებად რეალურად მიაჩნია, მით უმეტეს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი არც მალავს, რომ ამ კონფლიქტების მიზეზი ის არის“ - დევნილი, დისკუსია ფოთში 08.07.12*

*„აფხაზეთის საკითხი მეორეხარისხოვანი არ არის ჩვენი საზოგადოებისთვის. მერწმუნეთ, დევნილებს რომ ჰკითხოთ, ვერცერთი ვერ დათმობს აფხაზეთს იმის ხარჯზე, რომ გავწევრიანდეთ ნატოში. მე კი ვხვდები, რომ ჯობია დასავლური ორიენტაცია, მაგრამ არ მინდა უაფხაზეთოდ ყოფნა და თუკი მისი დაბრუნების სადავეები რუსეთს აქვს, შეიძლება მის გამო ემხრობოდეს დევნილი ამ აზრს“ - დევნილი , დისკუსია ფოთში 08.07.12.*

მომზადებულია ნინო კალანდარიშვილის მიერ
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის
რეგიონალური ბიუროს პროექტის „დევნილების
ჩართულობის გაძლიერება საპარლამენტო
არჩევნების კონტექსტში“ ფარგლებში
სექტემბერი, 2012 წელი